პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 აგვისტო პარასკევი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 199 (15412)

შეჯიბრების მოწინააღმდეგენი

შრომით ვადიდოთ სამშობლო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ თავი ისახელეს

ორმოცი წელია, რაც რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორი, ელექტროზეინკალი ვ. ბეჟუაშვილი ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში მან მრავალი კვალიფიციური ზეინკალი გამოზარდა. მათ შორის არის თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ცნობილი ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. პაპიხაშვილი. ამავე საწარმოში მუშაობს მოწინავე ხარატი ა. ტაბატაძე და მისი ყოფილი მოწაფე ზ. ფირცხალაიშვილი.

სურათზე: ზემოთ მოწინავე ხარატი ა. ტაბატაძე (მარჯვნივ) და ვ. ფირცხალაიშვილი. ქვემოთ — ვ. ბეჟუაშვილი და ვ. პაპიხაშვილი.

ს. თევზაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ცხოვრების მოთხოვნათა დონეზე

ბევრი ქვეყანა, მისი მრავალეროვანი ხალხი დიადი დღესასწაულისათვის—სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის ემზადება. იგი უველგან მიმდინარეობს მასების შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში.

თანამედროვე პერიოდს ახასიათებს პარტიული ორგანიზაციების როლისა და მნიშვნელობის განუხრელი ზრდა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მშრომელთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში. ისახება სულ უფრო დიდი მასშტაბისა და სირთულის ამოცანები. და ამ ამოცანათა გადაწყვეტა მოითხოვს პოლიტიკური და ორგანიზატორული ხელმძღვანელობის უფრო მაღალ დონეს. მუშაობის მეთოდების სრულყოფას.

და სწორედ ამ საკითხებს ფარულად შეეხნენ იდეოლოგიური თათბირის მონაწილენი, რომელიც ამ დღეებში გაიმართა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში, მათ აღნიშნეს, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები, პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტები ითვალისწინებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მოთხოვნებს, ყოველმხრივ და ღრმად უკეთებენ ანალიზს იდეოლოგიური საქმიანობის მდგომარეობას, განაზოგადებენ შრომელთა კომუნისტური აღზრდის გამოცდილებას, ააშენებენ ამ უმნიშვნელოვანესი საქმის საკლოვანებებს. საბჭოეთ კავშირეულ ღონისძიებებს „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად.

მარტო წელს იდეოლოგიური მუშაობის საკითხები განხილულ იქნა პარტიის აფხაზეთის, აჭარის საოლქო, თბილისის, ბათუმის, ტყიბულის საქალაქო, მახარაძის, გურჯაანის, ქარელის, მაღნეულის, მაიაკოვსკის, ლენინგორის, საჩხერის, თერჯოლის რაიონული კომიტეტების პლენუმებზე. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ პარტიის XXIV ყრილობის შემდეგ, როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ისე საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური საქმიანობა გაუქმრბესდა, უფრო მიუახლოვდა ცხოვრებას, აქტუალურ სამეურნეო პოლიტიკურ ამოცანებს. და მაინც მთელ რიგ ორგანიზაციებში იგი ჩამორჩება პარტიის მოთხოვნებს. ეს ხშირად იმით არის გამოწვეული, რომ ზოგან პრაქტიკულ მუშაობას მტკიცედ არ უკავშირებენ იდეურ-პოლიტიკურ საქმიანობას, ეს მაშინ, როცა ადამიანთა ორგანიზაცია და აღზრდა ერთიმეორისაგან განუყოფელია.

ადგილებზე პარტიული კომიტეტები და მათი მდივნები მუდამ უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, თუ რა მდგომარეობაა იდეოლოგიური მუშაობის ყველა უბანზე, იბრძოლონ იმისათვის, რომ გაძლიერდეს იდეოლოგიური მუშაობის გაელენა საბჭოთა ადამიანების პრაქტიკულ საქმიანობაზე, გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებათა შესრულებაზე, რეზერვებისა და შესაძლებლობათა გამოყენებაზე, ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა აღმოფხვრაზე.

ამჟამად მეტად პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგანან ჩვენი შენებლები. მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკები. საბჭოთა საქართველოს ველ-მინდვრებზე ჭაღება მარცვლეულის, ჩაის, უყრძნის, ხილის, ბოსტნეული კულტურების უხვი მოსავლის მიღების, პირუტყვისათვის საკვების დამზადების ბედი. და რომ ყველგან მოვიპოვოთ წარმატება, დავძლიოთ სიძნელეები, ამისათვის საჭიროა მშრომელთა მთელი ძალების უნარიანი დარაზმვა. ამის მიღწევა კი შეგვიძლია მხოლოდ ცხოველი და ქმედითი ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის ეროვნების საფუძველზე. საქმისადმი ასეთი მიდგომა დაეხმარა წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას (მდივანი ნ. ახალაშვილი) დაეარაზმა სოფლის მეურნეობის მუშაკები სახელოვანი შრომითი საქმეებისათვის. მათ წელს პურის უხვი მოსავალი მოიყვანეს და ორგანიზებულად, შემჭიდროებულ ვალდებში აიღეს იგი. აწარმოეს 10.043 ტონა პურეული. სახუალოდ ჰექტარზე მიიღეს 31,4 ცენტნერი მარცვალი.

იდეოლოგიური საქმიანობა პარტიული მუშაობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია, ამ მუშაობას უნდა ეწეოდნენ ადგილებზე არა მარტო პარტიული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებები, არამედ უველა წევრი და მდივნები, უველა კომუნისტი. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების ინტერესები მოითხოვს, რომ ხელმძღვანელმა პარტიულმა, სამეურნეო, სახჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა მუშაკებმა ისევე აგონ პასუხი კოლექტივების პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობისათვის, როგორც საწარმოო გეგმების შესრულებისათვის, პირადად მიიღონ მონაწილეობა სააგიტაციო - პროპაგანდისტულ მუშაობაში, განუმარტონ მშრომელებს მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და პარტიის პოლიტიკის საკითხები და ამავე დროს იკუნენ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა განხორციელების ორგანიზატორები.

მასებში პოლიტიკური მუშაობა თვითეული ხელმძღვანელი მუშაკის ღვიძლი საქმეა, მტკიცე სამეურნეო წარმატებათა საფუძველია. ჩვენს ქვეყანაში ფართოდ არის ცნობილი თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის საქმიანობა. აქ ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სამეურნეო გეგმების შესრულებას, პოლიტიკური განათლებისა და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანების გადაწყვეტას. მაგრამ ეს მიღწევები ერობამად როდი იქნა მოპოვებული. იგი უზრუნველყო მასებში მუშაობის თანმიმდევრულმა და მაღალმა დონემ, ქარხნის პარტიული ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის მიზანსწრაფულმა ორგანიზატორულმა და პოლიტიკურმა საქმიანობამ.

მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ ნაკლოვანებებიც. ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი უგულვებელყოფს იდეოლოგიურ მუშაობას, ნაკლებად აქვს ცოცხალი კავშირი მასებთან, ცუდად იცნობს მათს საჭიროებას და მოთხოვნილებებს, სათანადოდ არ ზრუნავს მშრომელთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებისათვის. ეს კი იწვევს ჩამორჩენას, სიძნელეებს მუშაობაში. ამით უნდა ახსნას ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის ექვსი თვის გეგმები არ შეუსრულებიათ ისეთ საწარმოებს, როგორიც არის რუსთავისა და კასპის ცემენტის ქარხნები, გორის ბამბეულის კომბინატი, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი, ქუთაისის ავრეშუმის საქსოვ საწარმოთა გაერთიანება და სხვ.

ახლა პირველადი პარტიული ორგანიზაციები, პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტები დიდი და სერიოზული ამოცანების წინაშე დგანან. გაცხოველებით მიმდინარეობს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადება. ახლა მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ყველა არსენალი უნდა გამოვიყენოთ მრავალეროვანი საბჭოთა ხახელმწიფოს დიადი იუბილეს შესახვედრად. ზეპირ და ბეჭდვით პროპაგანდაში წინა პლანზე წამოვწიოთ კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის მიღწევები, ხალხთა ლენინური მეგობრობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ძლევამოსილი იდეების ხორცშესხმის მოოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა.

ისე როგორც ყველა საქმეში, აქაც წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა კიდევ უფრო ავამაღლოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი, რათა თვითეული მათგანი იდეურად ძლიერი, ორგანიზაციულად მტკიცე და ბრძოლისუნარიანი იყოს, იგრძნობოდეს კომუნისტთა მაღალი აქტივობა. საჭიროა ყველა პარტიული ორგანიზაცია აქედანვე ემზადებოდეს ახალი სასწავლო წლისათვის. პარტიული განათლების სისტემაში, ზრუნავდეს მშრომელთა ეკონომიური სწავლების მაღალი ორგანიზაციისათვის, სწორად წარმართავდეს და კონტროლს უწევდეს პროპაგანდისტების, მომხსენებლების, აგიტკოლექტივების საქმიანობას.

უზრუნველვყოთ იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის ერთიანობა, აკავშიროთ ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა დონეზე — ასეთია დღეს თვითეული პარტიული ორგანიზაციის, ყველა კომუნისტის საბრძოლო ამოცანა.

ხუთწლედი—ვადამდე!

ავეჯი ლამაზი, საიმედო

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). საავეჯო კომბინატ „განთიადის“ კოლექტივში სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „მინიმალური კაპიტალური დაბანდებებით მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის გზით პროდუქციის გამოშვების გადიდების საქმეში სვერდლოვსკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილების შესახებ“ დიდი ინტერესი გამოიწვია. გადაწყვიტეს თავიანთი შესაძლებლობანი და ორმაგი დარწმუნდნენ, რომ მათს საწარმოშიც არის პროდუქციის გადიდებისა და მისი ხარისხის ამაღლების რეალური საშუალებანი.

მიმდინარე ხუთწლედის ბოლოს კომბინატმა უნდა გამოუშვას 14 მილიონი მახეთის ავეჯი, ესე იგი, ერთიორად მეტი, ვიდრე 1970 წელს. და ყოველივე ეს უნდა გაკეთდეს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებით, შრომის ნაყოფიერების გადიდებით, მოწყობილობის მაქსიმალურად გამოყენებით, ახალი უფრო მაღალი წარმადობის ტექნიკის, ტექნოლოგიის დანერგვისა და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების გზით.

გთვალისწინებულია ელექტროფილების, ფერადი ფერადი დეტალების საამქროების რეკონსტრუქცია, რის დამთავრების შემდეგ სიმძლავრე გაორკეცდება, გამოშვებული იქნება დეტალები მაღალი ხარისხის ავეჯის წარმოებისათვის და გამოთავისუფლდება მრავალი კვალიფიციური მუშა სხვა საშუშოზე გამოსაყენებლად.

ხუთწლედში გათვალისწინებულია ნახევრადავტომატური და ავტომატური ხაზების მოწყობის გზით ხელით შრომა 15-20 პროცენტით შემცირდეს. ახალი ტექნიკის დანერგვის გზით მარტო მიმდინარე წელს 60 ათასი მანეთი დაიზოგება.

საწარმოს ძალებით დამზადებულია პოლიეთილენის სამაგრი ფურნიტურა, რაც დიდი რაოდენობით დაზოგავს დეფიციტურ მერქანს.

დამონტაჟებულია უნივერსალური სტაპელი. აქ შეიძლება ერთდროულად აიწყოს წიგნის კარადა, ერთვიტრინიანი სერვანტი და თეთრეულის კარადა. გთვალისწინებულია აგრეთვე იმპორტული მაღალი წარმადობის ფარის დეტალების გამოსაჭრელი, ფილების დაფანერების ავტომატური ხაზებისა და საბურღი ხაზების დამონტაჟება.

მეავეჯეები მაღალი ენთუზიაზმით შრომობენ საიუბილეო წელს და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით აქ გადაჭარბებით შეასრულეს რეალიზაციის შვიდი თვის დავალება და გეგმას 109 ათასი მანეთით გადააჭარბეს. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 0,5 პროცენტით აამაღლეს, ხოლო გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით — 5,2 პროცენტით.

წელს აითვისეს და მომხმარებელს მიაწოდეს ტელევიზორის დასადგმელი მაგიდები და მცირე მოცულობის სერვანტები.

ჯ. ზარიძე.

საიუბილეოდ

ქიმიკოსები პირობას ასრულებენ

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი წარმატება მოიპოვა ქიმიურ-ფარმაცევტიული ქარხნის (დირექტორი დ. ციფარიძე) კოლექტივმა. ქიმიკოსებმა პროდუქციის რეალიზაციის რეგა თვის დავალება 21 აგვისტოსათვის შეასრულეს და გადაწყვიტეს თვის ბოლომდე გეგმის გადაჭარბებით 114 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია მოახდინონ.

აქ მზადდება და მრავალი ქვეყნის მისამართით იგზავნება ისეთი მნიშვნელოვანი პრეპარატები, როგორიც არის ფელენქსინი, ალიო და გელის სხვადასხვა საშუალებანი. მიმდინარეობს ტანინის საამქროს გაფართოება. დაიდგმება ახალი ვაკუუმ-ასაორთქლებელი აპარატები, რეაქტორები და სხვა მოწყობილობა. რეკონსტრუქცია მიმდინარე წელს დამთავრდება და ტანინის წარმოება 20 ტონით გაიზრდება.

ქარხანაში დიდი მუშაობა წარმოებს პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. უახლოეს პერიოდში საეკსპლოატაციოდ გადაეცემა აბების დაფასოების ავტომატური ხაზი, რაც ერთიორად გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას. გათვალისწინებულია კიდევ ორი ასეთი ავტომატის დადგმა.

სსრ კავშირის სამედიცინო მრეწველობის სამინისტროს ლენინგრადის სპეციალურ საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროსთან ერთად შეუქმნიათ ფილექსანინა და ანალგინის გამოსაკვები უბნის გაფართოების პროექტი.

ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა ხუთწლედის მეორე წლის გეგმა ვადამდე შეასრულოს და გეგმის გადამეტებით 200 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვას, ყაირათიანი მუშაობის შედეგად დაზოგოს 20 ათასი მანეთის ნედლეული და მასალები, 80 ტონა პირობითი სათბობი.

ზ. ჯაბანაპიშვილი.

ეკონომიკის ინტენსიფიკაციის გზით

სსრკ 50 თბილისელ მშრომელთა სტუმრები

თბილისი. ლენინის რაიონის მშრომელები გულთბილად შეხვდნენ 23 აგვისტოს ალმა-ათის მშრომელთა — მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქების დღეების მონაწილეთა დელეგაციას. ეს დღეები თბილისში იმართება საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო ორგანიზაციის ინიციატივით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან ალმა-ათის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის კათედრის გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი თ. ბაიანსკი, ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აუეზოვის სახელობის ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტის სწავლულები ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ა. შუსინოვი, ყაზახეთის კინოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ისტორიის კათედრის დოცენტი რ. სმირნოვა.

ჩამოსული პირველ დღეს მოძმე ყაზახეთის წარმომადგენლებმა ითვალიერეს ხელოვნების, დათვალიერეს ხელოვნებათა ფონდი, ზეადზენი, ჯვარი.

სტუმრებს მხურვალედ შეხვდნენ თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის მუშები და მოსამსახურეები. მათ უჩვენეს თავიანთი საწარმო, ესაუბრნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებზე.

ალმა-ათის წარმომადგენლებს მიესალმა ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ა. ჩოხელი.

შემდეგ სტუმრებმა საამქროთა მუშების წინაშე წაიკითხეს ლექციები. დოცენტმა თ. ბაიანსკიმ ილაპარაკა ყაზახეთის სსრ ეკონომიკის განვითარებაზე საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

ყაზახეთის საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენლებმა, ყაზახ მწერალთა და პოეტთა ახალი ნაწარმოებები დამსწრეთ გააცნო დოცენტმა ა. მუსინოვმა.

დოცენტმა რ. სმირნოვამ ილაპარაკა ყაზახეთში მეცნიერებისა და კულტურის განვითარების შესახებ.

მეოთხე დღეა თბილისში სტუმრად არიან მოძმე თურქმენეთის დელეგაციის წევრები, აშხაბადელ ქიმიკოსთა წარმომადგენლები. მათ მოიწვევენ სპინტერესო ექსკურსიები საქართველოს დედაქალაქში, გაეცნენ ლენინის რაიონის მთელი რიგი სამრეწველო საწარმოების საქმიანობას, ეწვევნენ გორს.

22 აგვისტოს დელეგაციის წევრები შეხვდნენ თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივს. სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ ქარხნის უფროსი ბ. მასხარაშვილი, პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილე ე. კეკნაველიძე, ახალგაზრდა ინჟინერი ა. სტურუა, მოწინავე მუშა-ზეინკალი კ. ივანკო.

დამსწრენი დიდი ინტერესით შეხვდნენ სტუმართა გამოსვლას.

აშხაბადის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ოდაბაშიანმა კ. ოვეზოვმა დამსწრეთ გაუზიარა თავისი პარტიული ორგანიზაციის ცხოვრების გამოცდილება.

„საბჭოთა თურქმენეთის ეკონომიკა“ — ასეთი იყო აშხაბადის უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის გამგის (ციტენტ დ. ანანეკოვის გამოსვლის თემა.

მეურალმა კ. ბერდიევმა ილაპარაკა თურქმენეთის კულტურის შესახებ.

მოძმე თურქმენეთის დედაქალაქის წარმომადგენლები გაგრძელებენ საქართველოს დედაქალაქის ლენინის რაიონის მშრომელთა მიღებებზე გაცნობას.

თურქმენეთის დედაქალაქის აშხაბადის წარმომადგენლებმა 24 აგვისტოს დათვალიერეს თბილისის მეტროპოლიტენის სადგური-ბი, შეხვდნენ მუშებსა და მოსამსახურეებს, გააცეს მათ საბჭოთა თურქმენეთის სახალხო მეურნეობის, ძეცხიერებისა და კულტურის ძეღწეკები.

ალმაათელი სტუმრები ეწვევნენ თბილისის „ელექტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანებას. გაერთიანების მუშა-ძოსამსახურეებმა ყურადღებით მოისმინეს სტუმრების ნაამბობი საბჭოთა ხელისუფლების წლებში ყაზახეთის სს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაზე, ყაზახური საბჭოთა ლიტერატურის წარმატებებზე, მეცნიერებისა და კულტურის ძეღწეკებზე.

შემდეგ ყაზახეთისა და თურქმენეთის დელეგაციათა წევრები იყვნენ საქართველოს სსრ სახალხო ძეურნეობის ძეღწევათა „გამოფენაზე, დაათვალიერეს „გამოფენის პავილიონები, რომლებიც ასაბაეან საქართველოს მშრომელთა მიღწევებს, მეცნიერების დარგის ყველაზე უფრესი გამოკვლევებს, ოესპუბლიკის ცხოვრებას.

იმავე დღეს აშხაბადისა და ალმა-ათის მშრომელთა წარმომადგენლები მიიღო საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ.

ამბ. ე. შევარდნაძე გულთბილად მიესალმა სტუმრებს, ილაპარაკა ქართველი, ყაზახი და თურქმენი ხალხების მეგობრობაზე, საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა წარმატებებზე.

სტუმრების სახელით გამოსულმა ყაზახეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ალმა-ათის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის მრეველობის ეკონომიკის კათედრის გამგემ, დოცენტმა თ. ბაიანსკიმ და თურქმენეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა — თურქმენეთის გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა კ. ოვეზოვმა მხურვალე მადლობა გადაიხადეს იმ გულთბილი მასპინძლობისათვის, რომელიც თბილისელებმა გაუწიეს. (საქინფორმი).

ფლიერი გეგმის შესრულება

ბოსტნეულის დამზადება საქართველოს სს რესპუბლიკის უველა კატეგორიის მეურნეობაში 1972 წლის 21 აგვისტოსათვის

	გეგმა	შესყიდულია	პროც.
ახალქალაქის	2140	—	—
ახალციხის	3580	632	18
ადიგენის	1510	160	11
ასპინძის	300	72	24
ბაშურის	3370	237	7
ქარელის	3200	130	4
გორის	11183	1852	17
კასპის	5549	310	6
ბორჯომის	800	128	16
საგარეჯოს	1680	189	11
გურჯაანის	1640	2031	124
სიღნაღის	1870	1672	89
თელავის	880	642	73
ახმეტის	491	283	58
ყვარლის	750	562	75
ლაგოდეხის	6190	6239	101
ბარდავის	45800	21704	47
მცხეთის	7836	804	10
მარნეულის	14870	18048	121
გოლენისის	2620	1056	40
წალკის	2470	—	—
დუშეთის	540	85	16
თეთრიწყაროს	1450	568	39
დმანისის	300	2	1
სამხრეთ ოსეთის ა. ო.	5110	141	3
წყალტუბოს	17040	8600	50
სამტრედიის	11930	8145	68
წულუკიძის	2170	838	39
ვანის	1940	1974	102
მაიაკოვსკის	270	179	66
ზესტაფონის	220	128	58
თერჯოლის	3060	2049	67
ჭიათურის საქალაქო			
საბჭო	700	29	4
საჩხერის	150	24	16
აბაშის	1480	771	52
ზუგდიდის	420	288	69
აფხაზეთის ასსრ	7670	1694	22
ამბრის ასსრ	1830	1091	60
ს უ ლ	175000	83357	48
იული 1971 წლის ამავე თარიღისათვის	160000	75147	47

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

დაწინაურდნენ მარნეულელები

აგვისტოს მესამე დეკადის დამდეგს მარნეულის რაიონის სოფლის მშრომელებმა სამშობლოს უპატაკეს ბოსტნეულია დამზადების წლიური გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა გადაჭარბებით ძმრულების შესახებ. გეგმით გათვალისწინებული 14.870 ტონის ნაცვლად მათ სახელმწიფოს მიაყიდეს 18.050 ტონა ბოსტნეული. იყიდეს ბოლოდროს ნაადამე ეიბოსტნეულნა გადაწყვიტეს მიაყიდონ კიდევ 3 ათასი ტონა სხვადასხვა ბოსტნეული და ბალიეული.

ამ წარმატების მიღწევაში განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანეს არაფლოს მებოსტნეობა-ბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ა. კოკაევი, პარტიული კომიტეტის მდივანი გ. ბეხრალიევი) კოლექტივებმა. გეგმით გათვალისწინებული 4.450 ტონის ნაცვლად აქ რეალიზებულია 3 ათასი ტონა ბოსტნეული. მარნეულის მეთამბაქოეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ფ. ოაგიმოვი, პარტიული კომიტეტის მდივანი ჯ. იბრაგიმოვი) სახელმწიფოს მიაყიდეს 1900 ტონა ბოსტნეული, ანგარიშით გათვალისწინებული 1.500 ტონის ნაცვლად. აღამაქოოდა ეიერსეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ტ. ციაფოვი, პარტიული კომიტეტის მდივანი ა. მაგარამოვი) გაყიდა 670 ტონა ბოსტნეული, ფიგურირებული 100 ტონის ნაცვლად.

— ყოველ დღე რაიონის საბჭოთა მეურნეობებიდან, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს პარტიის მაოფეულის რაკომის პიროველმა მდივანმა დ. მაღალაშვილმა, — იგზავნება ბაბიდერით, წყვანილითა და ხაზამთროთი დატვირთული მანქანების კოლონები ქ.ბილისელი და რუსთაველი მშრომელებისათვის. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ბოსტნეულის ხარისხს. ჯერ კიდევ ბოსტნეულის მოსავლის მასობრივი ადების სეზონის დაწყებამდე ყველა მეურნეობაში ვაიმართა საუბრები იმაზე, რომ პროდუქციის ძაღალი ხარისხი საბჭოთა მეურნეობის ფულადი შემოსავლის უმნიშვნელოვანესი წყარო, რომ მაღალხარისხოვანი ბოსტნეულით ქალაქების მომარაგება სოფლის მეურნეობის მშრომელთა ერა მარტო მოვალეობა, არამედ ვალდებულებაც არის. ბევრ მეურნეობაში პრაქტიკული ღონისძიებანი განხორციელდა ბოსტნეულისა და ბალიეულის ხარისხით მოსავლის ამღებთა მატერიალური დაინტერესების გადიდებისათვის. ყოველ მეურნეობას მიმაგრებული ჰყავს მიეროს, რაკომისა და რაიაღმასკომის წევრი, რომლებიც გულმოდგინე კონტროლს უწევენ გასაზავნი პროდუქციის ხარისხს. ამრიგად საბჭოთა მეურნეობების მუშები და სპეციალისტები მუშაობენ დევიზით: „მეტი და კარგი ხარისხის ბოსტნეული!“. (საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება

თუ ეკონომიკას ფეისწავლი...

პრაქტიკული მტკიცება არ სჭირდება იმას, თუ რაოდენ უკეთესად შეუძლია გაუფდეს საქმეს ეკონომიურ ცოდნას ღრმად დაუფლებული კაცი. ბას ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება ადასტურებს. სკკ ცენტრალური კომიტეტის გასულ წელს მიღებული დადგენილება „მშრომელთა ეკონომიური განათლების გაუმჯობესების შესახებ“ ერთხელ კიდევ მთელი სიროზულობით ხაზს უსვამს, რომ ყველამ ვისწავლოთ ეკონომიკა, ღრმად დაეუფლოთ მას.

ეს მოითხოვება პარტიის ხელოს რაიკომის, პირველადი პარტორგანიზაციების, იდეოლოგიური მუშაკების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად იქცა. რაიონის 27 პირველადს პარტორგანიზაციასთან მეორე წელია მუშაობენ ეკონომიური ცოდნის საფუძვლების შემსწავლელი სკოლები, რომლებიც 517 მსმენელს — მათ შორის 427 კომუნისტს ეკრთიანებენ. ამ სკოლებს ხელმძღვანელობენ საქმის მცოდნე, გამოცდილი პროპაგანდისტები.

ხიხაძირის ტერიტორიულ პირველად პარტორგანიზაციასთან საზოგადოებრივ საწყისებზე არსებული პოლიტიკური განათლების კაბინეტი სისტემატურად აწყობს საინტერესო ღონისძიებებს ეკონომიურ საკითხებზე. რასისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ცოდნის სახალხო უნივერსიტეტში ცოდნის ინდივიდუალურ ეკონომეურნეობის თამამჯდომარეებ ი, აღრიცხვის დარგის მუშაკები. სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

ამავე სამმართველოსთან არსებობს „შრომის მეცნიერული ორგანიზაციის“ სკოლა. გარდა ამისა, პარტიის რაიონული კომიტეტი, მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი და სოფლის მეურნეობის სამმართველო პერიოდულად აწყობენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებ ის, ბრიგადირებისა და სხვათა ეკონომიკურ-ეკონომიურ ინსტრუქტაჟებს.

ნაყოფიერად მუშაობს საზოგადოება „ცოდნის“ რაიონული ორგანიზაცია. მარტო უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ამ საზოგადოების წევრებმა ეკონომიკის საკითხზე წაიკითხეს 250-ზე მეტი ლექცია, რომელთა თემატიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახულ ეკონომიურ ამოცანებთან. რაიკომისა და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორები, მომსმენელებები თეორიული საკითხების გაშუქებისას ყურადღებას ამახვილებენ ეკონომიური ცხოვრების სადღეისო ამოცანებზე.

რაიონის მშრომელთა წინაშე ლექციებით და პოლიტიკური მოხსენებებით პირიდაპირ ეკონომიკურ ამოცანებზე ეხმიანებიან ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკის, სოციალისტური მეურნეობის ეკონომიკის პრობლემებზე.

თანამედროვე პირობებში საკმარისი არ არის მარტო კომუნისტების, ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების ეკონომიური სწავლება. სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „შრომელთა ეკონომიური განათლების გაუმჯობესების შესახებ“ ითვალისწინებს მათს სწავლებას ეკონომიურ სკოლებში, „კომუნისტური შრომის სკოლებსა და სახალხო უნივერსიტეტებში. გასულ სასწავლო წელს კორტხის, დიოკნისის, ბაკოს, ხიხაძირის კოლმეურნეობებში შეიქმნა და მუშაობს ეკონომიური ცოდნის სკოლები. რომლებშიც სწავლობენ ბრიგადირები, მექანიზატორები, მექანიკოსები, ზოოტექნიკოსები, ბაღჩეულეობის ბრიგადირები, ფერმის გამგე



საბჭოთა ავტომატები იკვლევენ მარსს

„მარს-2“ და „მარს-3“ საბჭოთა ავტომატურმა სადგურებმა, რომლებიც მარსის ხელოვნური თანამგზავრები გახდნენ, ორი თვეზე მეტი ხნის წინათ, დაამყარეს მეცნიერული კვლევის პროგრამა. სადგურების ხელსაწყოები აწარმოებდნენ სხვადასხვაგვარ დაკვირვებას, რამაც შესაძლებელი გახადა ბევრი ისეთი რამ შეგვეტყო „წითელი“ პლანეტის შესახებ, მიღებული მონაცემების სრულ დამუშავებისა და მათ ანალიზს კიდევ ბევრი დრო დასჭირდება. მაგრამ პირველი შედეგები უკვე შეგვიძლია შევაჯამოთ ერთდროულად. გაზომვებს აწარმოებდა მარსის ამერიკული თანამგზავრი „მარინერ-9“.

მარსისირგვლივ ორბიტაზე მეკვნიერული ხელსაწყოების ურთიერთშემფასებელი კომპლექსებით აღჭურვილი საბჭოთა და ამერიკული კოსმოსური აპარატების გაფრენა. მათი ერთდროული ხანგრძლივი მუშაობა და საბჭოთა და ამერიკელ მეცნიერებს შორის ინფორმაციების გაცვლა ჯერ კიდევ ექსპერიმენტის პროგრამაში უაღრესად კეთილნაყოფიერი პირობა იყო მარსის შესწავლაში. მნიშვნელოვანი პროგრესისათვის.

„მარს-2“ და „მარს-3“ სადგურების ორბიტაზეა გაფენილი ექვსი მარსისხარგვლივ არსებითად ერთგვაროვანი ორბიტაზე, რაც განპირობებული იყო როგორც თვით პროგრამის, ისე მისი კოსმოსური გარემოს მახასიათებლების ამოცანებით. ორივე სადგური მარსს მიუახლოდა მინიმალურ მანძილზე დაახლოებით 1.500 კილომეტრზე, ხოლო „მარს-2“ სადგური პლანეტას მაქსიმალურად დაშორდა 25 ათასი კილომეტრით, „მარს-3“ სადგური კი — 200 ათას კილომეტრზე მეტად.

მარსთან მიახლოებისას „მარს-2“ სადგურიდან გადაგდებულ იქნა კაფსულა, რომელმაც პლანეტაზე მიიტანა ვიმპელი საბჭოთა კავშირის გერბის გამოსახულებით.

„მარს-3“ სადგურის დასაშვები აპარატი დაეფდა ილეტრრისისა და ფაეტონტისის რაიონებს შორის. მისი პანორამული კამერების სატელევიზიო სიგნალები მიღებულ იქნა გათვალისწინებულ დროს ერთდროულად ორი დამოუკიდებელი არხით, ამასთან სიგნალის დონე მაღალი, შეუფასებელი იყო, მაგრამ სიგნალების გადმოცემა მალე შეწყდა.

ამ ხნის განმავლობაში გამოცემული პანორამის ტატარა ნაწილზე კონტრასტულობით მნიშვნელოვნად განსხვავებული დეტალები არა ჩანს. გადმოცემის მოულოდნელად შეწყვეტის მიზეზები დადგენილი არ არის. ეს ალბათ დაკავშირებულია დაშვების რაიონის ადგილობრივ თავისებურებებთან, რომლებიც სავსებით უცნობია. „მარინერ-9“ პლანეტაზე მიმდინარე მტვრის ძლიერ ქარბუქთან.

გამორიცხული არ არის, რომ მტვრის ქარბუქმა დაფარა შედგაპირის დეტალები პანორამის მონაკვეთის გაფუჭებისას. ამ რეული ექსპერიმენტის მასალების შეგროვება ჯერ კიდევ ადრე. მარსის ზედაპირზე, რბილი დაშვების წარმატებით განხორციელება ფაფრო პერსპექტივებს სახავს ახლო მომავლში ამ პლანეტის უმეტესი მეთოდებით კვლევისათვის.

მარსის ხელოვნურ თანამგზავრებზე მოეწყო 11 ძეკეიფიული ექსპერიმენტები. აკედან შვიდი დაკავშირებულია თვით ალანეტთა შეფასებასთან, სამი — საკლაესეტალეთეორიული გარემოს პარამეტრების გაზომვებთან და ერთი, რომელიც ფრანგ მეცნიერებთან ერთად სრულდებოდა, — მზის რადიოგამოსხივების გამოკვლევასთან.

მარსისაკენ ფრენის ტრაიექტორიებზე „მარს-2“ და „მარს-3“ სადგურებზე ორგანულად ინოსმებოდა მზის პლაზმის ხაზოვანი ნაკადები და ენერგეტიკული მასასიათებლები, აგრეთვე საპლანეტათშორისო მაგნიტური ველების პარამეტრები. ორ კოსმოსურ სიხშირეზე რადიოტალღების გავრცელების ხასიათით განისაზღვრა საპლანეტათშორისო გარემოს ელექტრონული კონცენტრაცია. „მარს-3“ ავტომატურ სადგურზე საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ერთობლივი ექსპერიმენტის „ტარეოს“ განხორციელების დროს ამოფეთქვებიდან ერთ-ერთ-ის ენერგიის ნაკადი ფოტონებისა და ელექტრონების ნაკადი ფოთლებ-ფოთლებ-ფოთლებ-

მეთვრამეტე...

რალას აკეთებს სეკუნდანტი?

რეიკიავიკი. გუშინ მსოფლიო პირველობაზე ბორის სპასკი-რობერტ ფიშერის მატჩის მეთვრამეტე პარტია გათამაშდა. თეთრებით თამაშობდა ამერიკელი გროსმაისტერი.

მეტოქეებმა მატჩში უკვე მეხუთედ აირჩიეს სიცილიური დაცვა.

პარტია გვიან ღამემდე გრძელდებოდა. შეგახსენებთ, რომ ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 10:7 პრეტენდენტის რ. ფიშერის სასარგებლოდ.

ბუენოსაიერესი. გაიმართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია, რომელშიც ამერიკელი ეპერი ბრეჯდენის ნაცვლად ახალ პრეზიდენტად აირჩია ირლანდიელი ლორდ აილანინი.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ახალი პრეზიდენტი 58 წლისაა. კომიტეტში იგი 1950 წლიდან არის, ხოლო 1968 წელს ვიცე-პრეზიდენტად იქნა არჩეული.

ლორდი კილანინი, სათვალავით მეექვსე პრეზიდენტი, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს უხელმძღვანელებს რვა წელიწადს, იგი ამავე დროს თავისი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტიც არის.

უოფილი ვიცე-პრეზიდენტი ოსპოტზე არჩეულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელი ვილი დაუმე.

როგორც ლორდმა კილანინმა განაცხადა, ევერი ბრენდეჯი სიკვდილამდე არჩეულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საპატიო თავმჯდომარედ.

ტურნე საზღვარგარეთ

ბაქო. ჯორჯიის ქალაქ ატლანტაში ძოსკოვის „დინამოს" ძველი ძატრი ჰქონდა. ამჯერად დინამოელები „ატლანტა ხიფსის" გუნდს ებრძოდნენ და დაამარცხეს იგი ანგარიშით 3:0. ორი ბეჭითი გოლი ეკუთვნის ალ. ალ. ალ.